განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;
ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი;

პროექტის მიღების მიზანია ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.
შპს „ორბი ჯგუფი ბათუმის'' სახელზე გაცემულია ინიცირების ბრძანება ქ.ბათუმში, წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე, რომელიც მდებარეობს ქალაქ ბათუმში და მოიცავს ფიროსმანის, ჟიული შარტავას, შ. ხიმშიაშვილისა და დავით ხახუტაიშვილის ქუჩებს შორის არსებულ კვარტალს, რომელზეც განთავსებულია მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდებით: 05.24.05.218, 05.24.05.250, 05.24.05.246, 05.24.05.247, 05.24.05.237, 05.24.05.222 და 05.24.05.102.
ინიციატორის მიერ დაგეგმილია ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. 14; ფიროსმანის ქუჩაზე, სპორტ სკოლის მიმდებარედ და ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქ. 7ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე 05.24.05.218 და 05.24.05.250 მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა. ხდება კ2 კოეფიციენტის გადამეტება, რისთვისაც განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ეტაპზე წარმოდგენილი და შეჯერებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკონპენსირებელი ღონისძიება.
ინიციატორის დასაბუთება: შპს „ორბი ჯგუფი ბათუმი“-ს (ს/№445 468798) მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტოს მიერ გამოცხადებულ აუქციონზე შეძენილი იქნა ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. №14-ში მდებარე 13 540,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 05.24.05.218). მხარეთა შორის 2020 წლის 04 აგვისტოს გაფორმდა პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება №17“. ხელშეკრულების თანახმად განისაზღვრა, რომ მყიდველი ვალდებულია შეძენილ მიწის ნაკვეთზე ააშენოს არანაკლებ 100 ნომრიანი შენობა-ნაგებობა და განახორციელოს არანაკლებ 60 000 000 ლარის ინვესტიცია. ამასთან, შეძენილი მიწის ნაკვეთიდან, ქ. ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №7ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ:05.24.05.250) ხარჯზე შპს „ორბი ჯგუფი ბათუმმა“ (ს/№445468798) უნდა ააშენოს არანაკლებ 10,00 მეტრი სიგანის საავტომობილო გზა, რომელიც ჟიული შარტავას გამზირს დააკავშირებს ხახუტაიშვილის ქუჩასთან.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:
ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების მიზნით განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:
ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.
ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ინდივიდუალურ აქტებთან: განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ინდივიდუალურ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების მიზნით გაიმართა შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან.

ე) პროექტის ავტორი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითა-რებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი **მირიან მეტრეველი**